საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030654535043619

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/2151 **10 / ივნისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

საქართველოში ტყვიით ინტოქსიკაციის გავრცელების მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით, 2018 წლის სექტემბერ - ოქტომბერში გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით საქართველოში განხორციელებული მრავალინდიკატორული პოპულაციური კვლევის (MICS) ერთ-ერთ კომპონენტად განისაზღვრა 2-7 წლის ასაკის ბავშვების ტყვიაზე ბიომონიტორინგი. კვლევა ჩაატარა სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახურმა გაეროს ბავშვთა ფონდის, სხვა დონორი ორგანიზაციებისა და სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში ჩართული 1527 ბავშვის სისხლი ლაბორატორიული დიაგნოსტიკისათვის გაიგზავნა იტალიის ეროვნული ჯანდაცვის ინსტიტუტში, რომელმაც უსასყიდლოდ უზრუნველყო სისხლის ნიმუშების გამოკვლევა. აღნიშნული ინსტიტუტიდან 2019 წლის 18 მარტს მოწოდებულ იქნა კვლევის შედეგად განსაზღვრული საყურადღებო წინასწარი მონაცემები. (MICS) შედეგების მიხედვით ტყვიის ზღვრულ მაჩვენებელზე (5 მკგ/დლ) მაღალიშემცველობა დაფიქსირდა 2-7 წლის ბავშვების 41%-ში; აქედან 25%-ში შემცველობა მცირედ მომატებულია (5-10 მკგ/დლ), ხოლო 16%-ში მეტია 10 მკ/დლ-ზე. კვლევამ აჩვენა, რომ ტყვიით ინტოქსიკაციის პრობლემა ფართოდ არის გავრცელებული ქვეყანაში, შესაბამისად, დადგა გადაუდებელი საჭიროება გამოვიკვლიოთ გარემოს სხვადასხვა ფაქტორი ტყვიის პოტენციური წყაროს მისაგნებად.

ცნობილია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს არ გააჩნია შესაძლებლობები ტყვიის შემცველობის დადგენის მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩასატარებლად. ამ მიზნებისთვის მუდმივი კვლევების დაკვეთა საზღვარგარეთის ლაბორატორიებისთვის ან კერძო ბაზარზე ახლად ჩამოყალიბებული კომპანიებისათვის საქართველოს ბიუჯეტს ბევრად მეტი დაუჯდება და ვერ იქნება ამ სერვისის სტაბილურობისა და მაღალი ხარისხის გარანტი, ვიდრე ქვეყანაში სახელმწიფო უწყებების ქვეშ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საერთაშორისო ტიპის ლაბორტორიის ჩამოყალიბება (არსებული ლაბორატორიული სიმძლავრეების გაზრდის გზით), სადაც შესაძლებელი იქნება ტყვიის სავარაუდო წყაროების გამოკვლევა ტყვიის შემცველობაზე შენობის შიდა ნიმუშებიდან, როგორიცაა შენობის შიდა ჰაერი, მტვერი, სამშენებლო მასალები, საღებავები, საკვები პროდუქტები, ბავშვის სათამაშოები, ცენტრალიზებული სასმელი წყალი.

ცენტრი, დონორების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, გეგმავს ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერებას და ამ მიზნით გარემოს სინჯების კველევის ლაბორატორიის ჩამოყალიბებას, დაწყებულია ამ კუთხით დაჩქარებული მეთოდებით საჭირო პროცედურების განხორციელება, რომელსაც ასევე დასჭირდება შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი/გადამზადებული პერსონალი. წინასაწარი გათვლებით ამ მიზნისათვის საჭიროა 5 შესაბამისი კვალიფიკაციის პირის დაკონტრაქტება, რომელსაც ცენტრი აიყვანს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისინნებული კონკურსის პირობებით. მიღებული თანამშრომლები ცენტრსა და იტალიის ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტს-ISS შორის 2018 წელს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, გაივლიან სტაჟირებას იტალიაში, ISS-ს შესაბამის ლაბორატორიაში და მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდების დასანერგად ცენტრში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების ხელშეწყობა“

(პროგრამული კოდი 27 03 02 05) - ცენტრში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გარემო ფაქტორების შეფასების მიზნით, ლაბორატორიის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განისაზღვროს ნაცვლად დღეს არსებული 5 (ხუთი) ერთეულისა, 10 (ათი) ერთეულით, სახელმწიფო პროგრამით დადგენილი არსებული ფინანსური რესურსის გამოყენებით.

ასევე, მეორე უმნიშვნელოვანესი გამოწვევა რაც ქვეყნის წინაშე დგას, წარმოადგენს სისხლისა და სისხლის კომპონენტების უსაფრთხოება ქვეყანაში და ტრანსფუზიის გზით ინფექციის გადაცემის პრევენცია. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, ქვეყანას აღებული აქვს ვალდებულებები, „ადამიანის სისხლის და სისხლის კომპონენტების შეგროვების, ტესტირების, დამუშავების, შენახვისა და განაწილების ხარისხისა და უსაფრთხოების სტანდარტების დადგენისა და 2001/83/EC დირექტივაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ევროპარლამენტის და საბჭოს 2003 წლის 27 იანვრის დირექტივა 2002/98/EC, რომლის 29-ე მუხლის თანახმად: „სისხლის ტესტირება უნდა ჩატარდეს უახლესი სამეცნიერო და ტექნიკური პროცედურების შესაბამისად, რომლებშიც ასახულია თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკა. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აგვისტოს № 1704 განკარგულებით დამტკიცებულ C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიაში ცალკე თავი ეძღვნება უსაფრთხო სისხლის სფეროში გასატარებელ ღონისძიებებს, რაც ითვალისწინებს 2019-2020 წლებში ტრანსფუზიით გადამდებ ინფექციებზე ტესტირების ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბებას და 2019 ნლიდან ნუკლეინის მჟავას ტესტირების მეთოდოლოგიის დანერგვას.

აღნიშნული მიზნით, გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე წელს დაგეგმილია ნუკლეინის მჟავას ტესტირების ცენტრალიზებული მექანიზმის დანერგვა. მიმდინარეობს ორი ერთეული აპარატის შესყიდვის პროცედურები და მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან რამდენიმე სისხლის ბანკში დაგეგმილია პილოტური პროექტის დაწყება, რაც გულისხმობს სისხლის ბანკებში ჩატარებული დონაციების ინფექციებზე გამოკვლევას ცენტრალიზებულად სახელმწიფო ლაბორატორიაში დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდით, რომელიც ინფიცირების უადრეს ეტაპზე უზრუნველყოფს ინფექციის აღმოჩენას, მინიმუმამდე დაჰყავს ე.წ. ფანჯრის პერიოდი, რაც სამწუხაროდ შესაძლოა გახდეს რეციპიენტების ინფიცირების მიზეზი.

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „უსაფრთხო სისხლის სახელმწიფო პროგრამა“ (პროგრამული კოდი 27 03 02 04) - ცენტრში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ქვეყანაში სისხლის უსაფრთხოების ერთიანი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, ლაბორატორიული სიმძლავრეების გასაზრდელად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა ნაცვლად დღეს არსებული 2 (ორი) ერთეულისა განისაზღვროს 5 (ხუთი) ერთეულით, სახელმწიფო პროგრამით დადგენილი არსებული ფინანსური რესურსის გამოყენებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვარის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს.

გთხოვთ თქვენს თანხმობას და შუამდგომლობას, რათა თანდართული პროექტი წარდგენილ იქნას საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე